თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2025 წლის 25 ნოემბერი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლს 24 ივლისის №7 დადგენილებაში **(ვებგვერდი, სსმ, 25/07/2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.126.016092)** და რეგლამენტის მე-18 მუხლს **დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1]** პუნქტი:

„3[1]. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ახორციელებენ საკრებულოს კომისიების მუშაობის კოორდინაციას საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სფეროების მიხედვით.

ასევე, ასრულებენ საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიცემულ დავალებებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო ჩაფიჩაძე**